საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.07.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 067/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ჯ. ხ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ჯ. ხ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 26 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ხ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ჯ. ხ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მ. ხ.-მ ზეპირი განმარტება წარმოადგინა 2023 წლის 31 აგვისტოს საპროცესო კოლეგიისა და 2023 წლის 11 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომებზე, სადაც მხარი დაუჭირა წერილობით საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ჰქონდა სამემკვიდრეო დავა, რისთვისაც მისი მოძღვარის დახმარებით დაუკავშირდა ადვოკატ ჯ. ხ.-ს. მომჩივანმა წერილობით საჩივარში მიუთითა, რომ ადვოკატმა არ მიაწოდა ინფორმაცია სპეციალიზაციაზე, თუმცა 2023 წლის 31 აგვისტოს საპროცესო კოლეგიისა და 2023 წლის 11 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომებზე წარმოდგენილი განმარტებით, მან იცოდა, რომ ადვოკატ ჯ. ხ.-ს ჰქონდა მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაცია და გამომდინარე აქედან ის საქმეს აწარმოება ადვოკატ ნ. ც.-სთან ერთად. მომჩივანის განცხადებით, 2021 წლის 2 აგვისტოს ადვოკატ ჯ. ხ.-სა და ადვოკატ ნ. ც.-ს ზეპირი ფორმით შეუთანხმდა სამოქალაქო საქმეზე სამართლებრივი დახმარების მიღებაზე. ადვოკატების ვალდებულებას წარმოადგენდა კლიენტისათვის სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის გაწევა, რისთვისაც მ. ხ.-მ ორივე ადვოკატს 2021 წლის 2 აგვისტოს სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა N. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატებმა, მასთან შეთანხმებით, სამოქალაქო სარჩელი წარადგინეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, რის შემდეგაც ადვოკატი ჯ. ხ. კლიენტის სასარგებლოდ ახორციელებდა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებს, კერძოდ, ადვოკატი ორჯერ დაესწრო სასამართლო პროცესს, კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ, სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით მოწმის გამოკითხვის თაობაზე. სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა და მოწმის სტატუსით გამოკითხა საჩივრის ავტორის ბიძაშვილი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა ადვოკატ ჯ. ხ.-სა და ადვოკატ ნ. ც.-ის მიერ მისი სახელით წარდგენილი სარჩელი, თუმცა მიუხედავად ამისა მ. ხ. აპირებდა სასამართლო დავის ზემდგომ ინსტანციებში გაგრძელებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებას, რაზეც ინფორმაციას თავიდანვე ფლობდნენ ადვოკატები. საჩივრის ავტორის განცხადებით, რთული იყო ადვოკატებთან კომუნიკაცია, ისინი არ პასუხობდნენ მის სატელეფონო ზარებსა და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს; ადვოკატებმა არ გააცნეს კლიენტს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მ. ხ.-ის ინფორმირების გარეშე დაწერეს და წარადგინეს სააპელაციო საჩივარი. მომჩივანის განმარტებით, მისი ადვოკატებისთვის ცნობილი იყო სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა. მათ, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ უნდა აეთვალათ გასაჩივრების 14 დღიანი ვადა, თუმცა ადვოკატებმა გადაწყვეტილება ჩაიბარეს 30 დღიანი ვადის ამოწურვიდან მე-13 დღეს - 25.04.2023 წელს და სააპელაციო საჩივარი ნაცვლად 26.04.2023 წლისა, წარადგინეს 08.05.2023 წელს. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატებს აღნიშნული გარემოებების შესახებ მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებიათ და მან ფაქტი, რომ ადვოკატებმა გაუშვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, მოწინააღმდეგე მხარისაგან შეიტყო.

1.4 მომჩივანის განმარტებით, სააპელაციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 24 მაისის განჩინებით, გასაჩივრების ვადის დაუცველობის გამო დარჩა განუხილველი. აღნიშნული განჩინება ადვოკატებს ჩაბარდათ 25.05.2023 წელს, რომელიც მათ ჩაბარებიდან 12 დღის განმავლობაში უნდა გაესაჩივრებინათ, თუმცა ადვოკატებმა არც აღნიშნული განჩინება გაასაჩივრეს და საჩივრის ავტორს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ საქმე იყო უპერსპექტივო და ზემდგომი ინსტანციები საქმეს აღარ განიხილავდნენ. საჩივრის ავტორის განმარტებით

ადვოკატების: ჯ. ხ.-სა და ნ. ც.-ის ქმედებების შედეგად, მან ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით და მიადგა მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა, ჯ. ხ.-მ ეთიკის კომისიაში, 2023 წლის 11 აგვისტოს წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ მ. ხ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატმა საჩივართან დაკავშირებით ზეპირი განმარტება წარმოადგინა 2023 წლის 31 აგვისტოს საპროცესო კოლეგიისა და 2023 წლის 11 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომებზე.

2.2 ადვოკატმა ჯ. ხ.-მ 2023 წლის 31 აგვისტოს საპროცესო სხდომაზე დაადასტურა, რომ საერთო მოძღვარის დახმარებით, 2021 წლის ზაფხულში მასთან სამართლებრივი დახმარების მისაღებად მივიდა მ. ხ.. ადვოკატის განცხადებით, მ. ხ.-ს სურდა პირველი ინსტანციის სასამართლოში სამემკვიდრეო დავის წარმოება. ადვოკატმა განუმარტა მას, რომ არ ჰქონდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია, რის შემდეგაც კლიენტთან შეთანხმებით, საქმეს აწარმოებდა ადვოკატ ნ. ც.-სთან ერთდ.

2.3 ადვოკატ ჯ. ხ.-ს განმარტებით, მ. ხ. ვერ უზრუნველყოფდა მტკიცებულებების წარმოდგენას, გამომდინარე აქედან, მან და ადვოკატმა ნ. ც.-მ კლიენტს განუმარტეს, რომ სასამართლოში სამემკვიდრეო დავის წარმოება იყო არაპერსპექტიული, თუმცა კლიენტის დაჟინებული თხოვნით, სამოქალაქო სარჩელი წარადგინეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც ორივე ადვოკატი აქტიურად მონაწილეობდა საქმისწარმოებაში და კლიენტის ინტერესების შესაბამისად, ახორციელებდნენ სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებს. ადვოკატის განცხადებით, ის არ ფლობდა ინფორმაციას, რომ კლიენტს სურდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება. ადვოკატის განმარტებით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აქვს მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაცია, კლიენტთან მომსახურების ფარგლები მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოებას მოიცავდა. ადვოკატის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა მ. ხ.-ის სარჩელი, შესაბამისად მასსა და მ. ხ.-ს შორის შეწყდა ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობა.

2.4 ადვოკატ ჯ. ხ.-ს განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს უფლებამოსილი თანამშრომლისაგან მიიღო ინფორმაცია, რომ საჩივრის ავტორს მობილური გათიშული ჰქონდა და ვერ ხერხდებოდა მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარება, რის შემდეგაც, ადვოკატ ნ. ც.-სთან შეთანხმებით, 2023 წლის 25 აპრილს მან ჩაიბარა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება, რაც მან გადასცა ნ. ც.-ს. აღნიშნული ფაქტი ადვოკატებმა აცნობეს მ. ხ.-ს და საჩივრის ავტორს აღნიშნული დოკუმენტი გადასცეს ადვოკატ ნ. ც.-ის ოფისში. ადვოკატმა ჯ. ხ.-მ 2023 წლის 11 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მ. ხ.-მ ადვოკატ ნ. ც.-ს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სურდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება, შესაბამისად, ადვოკატმა ნ. ც.-მ შეადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლის შინაარსიც ჯ. ხ.-სათვის ცნობილი არ ყოფილა და საჩივარიც მხოლოდ ადვოკატ ნ. ც.-ის მიერაა ხელმოწერილი. ადვოკატმა ნ. ც.-მ სასამართლოს სააპელაციო საჩივრით მიმართა 8 მაისს. გასაჩივრების ვადა გამოთვალა ადვოკატმა ნ. ც.-მ. ადვოკატის განმარტებით, მან

კეთილსინდისიერად, ჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული ყველა მოვალეობა და გაწეულ საადვოკატო მომსახურებაზე მ. ხ.-ს მასთან რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს. ადვოკატის განცხადებით, მან მ. ხ.-ს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასაწყისშივე მიაწოდა ინფორმაცია, რომ ჰქონდა მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაცია, რის გამოც კლიენტის ინტერესებს ზემდგომ ინსტანციებში ვეღარ წარმოადგენდა. ადვოკატმა 2023 წლის 11 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე დააზუსტა, რომ სწორედ სამოქალაქო სამართლის მიმართულებით სპეციალიზაციის არქონის გამო შესთავაზა კლიენტს საქმეში შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე ადვოკატის ჩართვა. შესაბამისად, მათ შორის მომსახურების ფარგლები სადავო არ ყოფილა და ადვოკატმა მომჩივანის პრეტენზიების შესახებ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივრის ჩაბარების შემდეგ შეიტყო.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2023 წლის 07 აგვისტოს, მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ჯ. ხ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ჯ. ხ.-მ დროულად არ მიაწოდა ინფორმაცია სპეციალიზაციისა და საადვოკატო მომსახურების ფარგლების შესახებ; კლიენტს არ გააცნო საპროცესო დოკუმენტების შინაარსი და არ დაიცვა კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო ვადები, შესაძლოა, ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 (ა), 6.2, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 და 8.6 მუხლები, რაც დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველია.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

4.1.1 ადვოკატები ნ. ც. და ჯ. ხ., ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, მ. ხ.-ის ინტერესებს იცავდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში (საქმე N).

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.03.2023 წლის გადაწყვეტილება (საქმე N).

4.1.2 მ. ხ.-მ 02.08.2021 წელს ადვოკატებს: ნ. ც.-სა და ჯ. ხ.-ს სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა (სანოტარო აქტი N), რომლის მიხედვით ადვოკატებს კლიენტის ინტერესები უნდა წარმოედგინათ საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. მ. ხ.-ის ახსნა-განმარტება;
2. 02.08.2021 წლის მინდობილობა (სანოტარო აქტი N).

4.1.3 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 13.03.2023 წლის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მ. ხ.-ის სარჩელი, საქმეზე N (მოსარჩელე - მ. ხ.; წარმომადგენლები: ნ. ც. და ჯ. ხ.). სასამართლო სხდომას კლიენტთან ერთად ესწრებოდნენ ადვოკატები: ნ. ც. და ჯ. ხ..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.03.2023 წლის გადაწყვეტილება (საქმე N);
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.05.2023 წლის განჩინება საქმეზე N.

4.1.4 ადვოკატმა ჯ. ხ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.03.2023 წლის დასაბუთებული გადაწყვეტილება საქმეზე N ჩაიბარა 25.04.2023 წელს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. ადვოკატ ჯ. ხ.-ს 25.04.2023 წლის ხელწერილი.

4.1.5 მ. ხ.-ის სახელით, თბილისის საქალაქო სასამართლოში სააპელაციო საჩივარი წარდგენილია 08.05.2023 წელს. სააპელაციო საჩივარში მითითებულია, რომ აპელანტის წარმომადგენლები არიან ნ. ც. და ჯ. ხ., თუმცა, სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია მხოლოდ ადვოკატ ნ. ც.-ის მიერ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოში 08.05.2023 წელს წარდგენილი სააპელაციო საჩივარი.

4.1.6 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.05.2023 წლის განჩინებით, აპელანტ მ. ხ.-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, სააპელაციო საჩივრისათვის წარსადგენი კანონით დადგენილი საპროცესო ვადის დარღვევის გამო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მ. ხ.-ის ახსნა-განმარტება;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.05.2023 წლის განჩინება საქმეზე N.

4.1.7 მ. ხ. ფლობდა ინფორმაციას ადვოკატ ჯ. ხ.-ს სპეციალიზაციაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 31 აგვისტოს სხდომის ოქმი;
3. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 11 დეკემბრის სხდომის ოქმი.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ჯ. ხ.-ს მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ჯ. ხ.-ს მიერ დარღვეული არ არის კლიენტის ინფორმირების, კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულებები.

6.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა".

6.1.3 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია..".

6.1.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი:,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ".

6.2 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას საფუძვლად უდევს სამოქალაქო სამართლებრივი შეთანხმება, რაც მოიაზრებს, რომ მხარეთა ურთიერთობა იწყება და გრძელდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტის საქმეზე საადვოკატო მომსახურება გაწიოს მხარეთა შორის შეთანხმებული ფარგლებისა და მოცულობის შესაბამისად. ადვოკატმა თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად. (სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიის (შემდეგში - „ეთიკის კომისიის") 20.02.2013 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმეN055/21; ეთიკის კომისიის 01.03.2023 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N076/21).

6.3 ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 11.8). ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელშიც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და არის სპეციალიზირებული. ადვოკატისთვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებას ადგენს ადვოკატთა

შესახებ საქართველოს კანონი (მუხლი 10.1(ბ)). განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში თუ ადვოკატს არ აქვს შესაბამისი სპეციალიზაცია, მას ეკისრება ვალდებულება კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია სპეციალიზაციის შესახებ და კლიენტისაგან მიიღოს თანხმობა ამ კონკრეტული ადვოკატისაგან საადვოკატო მომსახურების მიღებაზე.

6.4 საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ" (მუხლი - 2,5,6.) კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ავალდებულებს ადვოკატს კლიენტის დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. ამადროულად, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ფარგლებში განხორციელებული სამართლებრივი მოქმედებების ხარისხი და ტაქტიკა. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე (ეთიკის კომისიის 07.07.2010 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N035/10; ეთიკის კომისიის 07.02.2014 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N105/13; ეთიკის კომისიის 28.02.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N083/18; ეთიკის კომისიის 20.08.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N110/19; ეთიკის კომისიის 24.09.2020 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N013/20; ეთიკის კომისიის 24.09.2020 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N011/20).

6.5 პროფესიული ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს კლიენტს დროულად, ჯეროვნად და ამომწურავად მიაწოდოს ინფორმაცია სპეციალიზაციაზე, მის მიერ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებსა და საქმის მდგომარეობაზე, რაც კლიენტს აძლევს შესაძლებლობას სრულყოფილად ჩაერთოს თავისი საქმის განხილვის პროცესში და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები (ეთიკის კომისიის 01.03.2023 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N076/21; ეთიკის კომისიის 27.10.2022 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N066/20).

6.6 კლიენტისათვის მომსახურების ფარგლების შეთანხმებასა და კლიენტის ინფორმირებაზე სადავო ფაქტებზე მსჯელობისას, განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: დისციპლინური საქმისწარმოებისას, მ. ხ.-მ დაადასტურა, რომ ადვოკატმა ჯ. ხ.-მ მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასაწყისშივე მიაწოდა ინფორმაცია, რომ ჰქონდა მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაცია. ამავდროულად, საქმის მასალებით დგინდება, რომ საქმისწარმოებაში, ადვოკატ ჯ. ხ.-ს რჩევის შესაბამისად, თავიდანვე მონაწილეობდა სხვა ადვოკატიც - ნ. ც., რომელსაც აქვს საერთო სპეციალიზაცია და შესაბამისად, შეუძლია კლიენტების ინტერესები წარმოადგინოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომ სამოქალაქო საქმისწარმოებაში სხვა ადვოკატის ჩართვა არ გახდებოდა აუცილებელი, ადვოკატ ჯ. ხ.-ს მხლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაცია

რომ არ ჰქონოდა ან/და მისი მომსახურების ფარგლებზე სწორი ინფორმაცია რომ არ მიეწოდებინა კლიენტისათვის. სადავო ფაქტებთან დაკავშირებით, საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, მ. ხ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ადვოკატ ნ. ც.-ისა და ჯ. ხ.-სათვის სანოტარო წესით გაფორმებული საერთო მინდობილობა (02.08.2021 წლის სანოტარო აქტი N). განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მხარეთა შორის ზეპირი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, საადვოკატო საქმიანობის ფარგლების დასადგენად, საკმარისი არ არის მხოლოდ სტანდარტული მინდობილობა. განხილვის კოლეგია არ იზიარებს საპროცესო კოლეგიის ვარაუდს და განმარტავს, რომ ბუნებრივია, მინდობილობის გამოყენებით, ადვოკატ ჯ. ხ.-ს სამოქალაქო საქმეზე კლიენტის ინტერესები მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოების ფარგლებში უნდა წარმოედგინა. ადვოკატის სხვაგვარი ქმედება და კლიენტის დაცვის ზემდგომ ინსტანციებში გაგრძელება გამოიწვევდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებისა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტების დარღვევას.

6.7 შესაბამისად, განხილვის კოლეგია იზიარებს ადვოკატ ჯ. ხ.-ს განმარტებას, ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტებზე, რომ ადვოკატ ჯ. ხ.-სთან ერთად, სამოქალაქო საქმისწარმოებაში ჩართული იყო შესაბამისი სპეციალიზაციის სხვა ადვოკატიც - ნ. ც., რომელსაც, ადვოკატმა ჯ. ხ.-მ გადააბარა საქმისწარმოება (გადასცა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, ზემდგომ ინსტანციებში კლიენტის საქმისწარმოების მიზნით) და რომელმაც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოების დასრულების შემდეგ განაგრძო კლიენტის წარმომადგენლობა. კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია მხოლოდ ადვოკატ ნ. ც.-ის მიერ. აღნიშნულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, განხილვის კოლეგიას სარწმუნო მტკიცების სტანდარტით არწმუნებს ფაქტში, რომ ადვოკატ ჯ. ხ.-ს საადვოკატო მომსახურების ფარგლები, მისი სპეციალიზაციის გათვალისწინებით, სრულდებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობით, რაზეც ინფორმაციას თავიდანვე ფლობდა საჩივრის ავტორი.

6.8 შესამაბისად, კოლეგიის შეფასებით, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძვლზე, ადვოკატ ჯ. ხ.-ს არ დაურღვევია კლიენტის ინფორმირების პროფესიული ვალდებულება („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 და პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლები).

6.9 განხილვის კოლეგიამ ადვოკატ ჯ. ხ.-ს მიერ კლიენტის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობა შეაფასა ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობისას განხორციელებული საპროცესო/სამართლებრივი მოქმედებების გათვალისწინებით. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი საქმის მასალებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ ადვოკატი ჯ. ხ. აქტიურად იყი ჩართული კლიენტის საქმისწარმოებაში და ახორციელებდა სხვადასხვა სამართლებრივ მოქმედებებს, კერძოდ, ადვოკატმა კონსულტაცია

გაუწია მ. ხ.-ს, მიაწოდა ინფორმაცია მის სპეციალიზაციასა და მომსახურების ფარგლებზე, ადვოკატ ჯ. ხ.-ს რჩევით სამოქალაქო საქმისწარმოებაში ჩაერთო შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი, ადვოკატმა ჯ. ხ.-მ ადვოკატ ნ. ც.-სთან ერთად შეიმუშავა სამოქმედო სტრატეგია და კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადვოკატ ნ. ც.-სთან ერთად წარადგინა სამოქალაქო სარჩელი, ადვოკატი ჯ. ხ. კლიენტთან - მ. მ.-სთან და ადვოკატ ნ. ც.-სთან ერთად ესწრებოდა სასამართლო პროცესებს, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით ახორციელებდა საპროცესო მოქმედებებს (იხილეთ გადაწყვეტილების 1.2 მუხლი) და სასამართლოს მიმართავდა შუამდგომლობებით; ადვოკატმა ჩაიბარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად, გადასცა ადვოკატ ნ. ც.-ს, რის შემდეგაც ჩამოშორდა კლიენტის საქმისწარმოებას.

6.10 შესამაბისად, კოლეგიის შეფასებით, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძვლზე, ადვოკატ ჯ. ხ.-ს არ დაურღვევია კლიენტის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის სტანდარტები („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ა) და პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლები).

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 16, 17, 33, 35 მუხლებით, 40.2 მუხლით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №067/23 ადვოკატ ჯ. ხ.-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/